საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

პარასკევი, ივლისის 22
1921 წ.
ფასი 500 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 8000 მან. ცალი 500 მან.

## ძველი მიდრეკილება

საქართველოს მშრომელი ხალხი არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ უძრავ და უგონო მასად, რომელიც ბარქაშავით უნდა ებას სხვის გემს, და ეთრიოს ისე როგორც ამას მოისურვებს უცხო გემის კაპიტანი. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველო რუსეთის გუბერნიად იყო გადაქცეული, რუსეთის მუშათა მოძრაობაში, ქართველ მუშებს ავანგარდობა ჰქონდათ წილად. ბევრჯელ გადმოქანებულა რუსეთის მუშათა თვალი ჩვენი ქვეყნისაკენ, და ბევრჯელ ჩვენ ქვეყნებში დანთებული რევოლიუციის ცეცხლი შორეულ რევოლიუციონერებსაც კი უნთებდა აღფრთოვანებას. ქართველები ჰმეთაურობდნენ რევოლიუციებს, პროცენტულად ქართველობას გაცილებით მეტი მსხვერპლი გაუღია, ვიდრე რომელიმე რუსეთის ფარგლებში მყოფელ ერს, და დღევანდელი სინამდვილეც იმას ადასტურებს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი თავის მეზობლებთან შედარებით უფრო მომზადებულია, უფრო ღრმა ანალიზის მქონე და უფრო შორს მჭვრეტელი. ქართველი ადამიანის ბუნებაც ისეთია, რომ იგი პირველობას ძნელად თუ დაუთმობს ვისმეს, და იქნებ ეს პსიხოლოგიური თვისება იყვეს ის მიზეზი, რამაც ასწია ქართველ მუშების შეგნება და ინტერესთა გათვალისწინების უნარი. მაგრამ მიუხედავად ამ გარემოებისა, აი უკვე სამი წელიწადია, რაც აზერბეიჯანის პროლეტარიატი ნოტაციებს უკითხავს ჩვენს მუშებს, რევოლიუციის პერსპექტივებს უშლის, არჩეულ გზას უწუნებს და მოუწოდებს გაჰყვეს მას, აზერბეიჯანის პროლეტარიატს. სამი წლის განმავლობაში ბაქოდან ყოველგვარ ხერხს მიმართავდნენ, რომ ქართველ მუშებისთვის აეღებინებიათ ხელი იმ ეროვნულ თავისუფლებაზე, რომელსაც აზერბეიჯანის პროლეტარიატი, რასაკვირველია ვერ გრძნობდა, და ვერც გაიგებდა მის ღირებულებას. და ეს ძველად დაწყებული კომპანია დღესაც არ დამცხრალა. „აზერბეიჯანის პროლეტარიატს“, რომლის სახელითაც იფარავენ თავს რუსული ცენტრალისტური იდეის იანიჩარები რასაკვირველია საქართველოს მუშები ვერც დღეს გაჰყვებიან, რადგან მათ მაგარ ფრაზებში გამოსჭვივის მეტად ნაცნობი და ჩვენთვის მიუღებელი წადილი. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიმარხოს „მთლიან რუსეთის“ იდეა, რადგან მისი აღდგენა მხოლოდ ჟანდარმერიის საშუალებით შეიძლება, რევოლიუცია კი ამ ჟანდარმებს ჰმარხავდა და კვლავ დამარხავს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს „აზერბეიჯანის პროლეტარიატმა“, რომ ეროვნული საკითხის ძველებურად გაგება და დაბრუნება ყოველ შემთხვევაში ქართველებისთვის შეუძლებელია, და ვინც საქართველოს მუშებს ამ ანტიეროვნულ მოღვაწეობისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებს, მას ანგარიში გაუწბილდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოიგლიჯონ ძველი გული ყველა იმათ, ვინც დღეს რევოლიუციონერობაზე სდებს თავს, და „ველიკოდერჟავნიკ“-ულ ფიქრებით კი არის დასნეულებული. აი ჩვენს წინ გადაშლილია აზერბეიჯანის პროფკავშირთა მეორე ყრილობის რეზოლიუცია კავკასიის პროლეტარიატის გაერთიანების შესახებ. რეზოლიუციის ავტორები რომანტიულ კანესით იგონებენ იმ ნეტარ დროს, როდესაც „კავკასიის პროლეტარიატი 90 წლიდან მოყოლებული, ბაქოს პროლეტარიატის მეთაურობით აწარმოებდა სახელოვან სარევოლიუციო ბრძოლას გაბატონებულ კლასის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ“. როდესაც „რუსეთის პროლეტარიატის“ „ცარიზმთან“ წარმოებულ გიგანტურ ბრძოლაში, „კავკასიის პროლეტარიატი, ბაქოს პროლეტარიატის მეთაურობით, მიდიოდა პირველ რიგებში, როგორც რუსეთის მუშათა კლასის **განუყოფელი ნაწილი** (ხაზი ჩემია ვ. კ.) ამ განუყოფლობაში არის საკითხის კვინტესენცია. ეს არის, რომ ბრძოლის გუშაგზე აყენებს ბევრ რუსულ იდეის მატარებელს, და „აზერბეიჯანის პროლეტარიატიც“ სწორედ ამიტომ ძვრება საკუთარ კანიდან— „რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამ გამოიწვია ის, რომ კავკასიის ბურჟუაზიულ კლასების ცდით და მენშევიკების გამყიდველობით კავკასია მოსწყდა რუსეთს, „**ურომლისოდაც შეუძლებელია კავკასიის წარმოების განვითარება**“. (ხაზი ჩემია. ვ. კ.) ეს დებულებაც იმავ „განუკვეთელობის“ ვარიაციაა. და ჩვენ უნდა განუცხადოთ აზერბეიჯანის რეზოლიუციების ავტორებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მენშევიკების წყალობა კი არ იყო, მას მენშევიკებიც ისევე ებრძოდნენ, როგორც დღეს ბაქოს რუსები ებრძვიან, მაგრამ სრულიად საქართველოს მშრომელი ხალხის სურვილმა და ნებისყოფამ გამოსჭედა ეს დიდი აქტი. და ამ ეროვნულ თავისუფლებაზე ქართველი მშრომელი ხალხი, რასაკვირველია ხელს ვერ აიღებს, რაც უნდა გახდეს და დაეცეს უსათუოდ ჩვენი მრეწველობა. თუმცა რასაკვირველია ეს უკანასკნელი დებულება მეტად სუსტია და უსუსური. რუსეთის მრეწველობა თავიდან ბოლომდე ევროპის და განსაკუთრებით გერმანიის მრეწველობის წარმოშობა იყო. რუსეთს გერმანიიდან შემოჰქონდა ყველაფერი, ქინძისთავიდან მოყოლებული ზარბაზნებამდე, მაგრამ არც ერთ რუსს არ მოუთხოვია რუსეთის დამოუკიდებლობაზე ხელის აღება და გერმანიასთან გაერთიანება. აი თუნდ „აზერბეიჯანის პროლეტარიატი“. მას როდისმე მოუთხოვია ეს? საბჭოთა რუსეთის დამოუკიდებლობა გამოცხადებულია როდისმე ბურჟუაზიის ნაყოფად ან და მენშევიკების გამყიდველობის შედეგად? და თუ არა, რატომ საბჭოთა რუსეთის დამოუკიდებლობა არის მისაღები, რევოლიუციური, მაღალი, და საბჭოთა საქართველოს, სომხეთის და სხ. დამოუკიდებლობა მიუღებელი და სხ.. ვიდრე იმ რეზოლიუციის განხორციელებას მოჰკიდებდნენ ხელს, საჭირია ამ კითხვას დაუფიქრდნენ. შემდეგ: რეზოლიუციის მეხუთე მუხლი ამბობს, რომ „სწორედ სამი წლის წინად, ამიერ-კავკასიის (თუ კავკასიის? ვ. კ.) პროლეტარიატი გაყოფილი იყო ნაწილებად, და სცხოვრობდნენ აღმაშფოთებელ ეროვნულ შოვინიზმის პირობებში. ბაქოს პროლეტარიატის სურვილმა, თავიდანვე წინ აღუდგომოდა **ხელოვნურ დაყოფას** (ხაზი ჩემია ვ. კ.) ეროვნულ ჯგუფებად... დროებითი მარცხი ნახეს, და დღეს კი, ამიერკავკასიაში საბჭოთა მეუფების დამყარების შემდეგ, როცა განიფანტნენ ყოველგვარი დაბრკოლებანი ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის გასაერთიანებლად, ბაქოს პროლეტარიატი თავის ძველ სარევოლიუციო ტრადიციების ერთგული აზერბეიჯანის პროლეტარიატთან ერთად უცხადებს ყველად მკაცრ და სასტიკ ბრძოლას შოვინიზმის და ნაციონალიზმის წყეულ მემკვიდრეობას პროლეტარიატის შორის, და თავს იდებს მუშათა მასსების გაერთიანების საქმესო“. ამ მუხლში იმდენი უცნაურობაა თავმოყრილი, რომ შეუძლებელი ხდება მოკლე პასუხის გაცემა. თუ ეროვნულ ჯგუფებად განაწილება ხელოვნურია, მაშ რა ეწოდება იმ გაერთიანებას, რომლის მოციქულობასაც „ბაქოს პროლეტარიატი“ კისრულობს? ეს არამც თუ ხელოვნური გაერთიანებაა, იმავე დროს მზაკვრულიც არის და ის „დროებითი მარცხი“, რომლის შესახებაც ლაპარაკობენ რეზოლიუციის ავტორები, შეიძლება „დროებითი გამარჯვებით“ შეიცვალოს, რადგან „განიფანტნენ ყოველგვარი დაბრკოლებანი“, მაგრამ მუდმივი გამარჯვება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, და პროლეტარიატი ნამდვილად მხოლოდ მაშინ გადაიქცევა დიდ ძალად, როდესაც ეროვნულ მომენტს უფრო კრძალვით მოეპყრობიან და მართლა ხელოვნურ გაერთიანებაზე საბოლოოდ აიღებენ ხელს. ხოლო იმ „სასტიკ ბრძოლაში“, რომელსაც „ბაქოს პროლეტარიატი“ აცხადებს ნაციონალიზმის წინააღმდეგ, უსათუოდ თვითვე დამარცხდება, თუ ამ სიტყვით ის ჰგულისხმობს ეროვნულ თავისებურობას. ისტორია ერთა აღდგენისაკენ მიემართება და ამ დიდ მოძრაობას რასაკვირველია ვერ შეაჩერებენ ძველი იდეების აპოლოგეტები.

„თანაც თავს ნუ მოიტყუებენ იმ საერთაშორისო მშვიდობიანობით, რომელიც ვითომდა დამყარდა ამიერ-კავკასიაში. ვიდრე ეროვნული საკითხი არ გადაწყდება სავსებით, ვიდრე არ მოისპობა ის რუსიფიკატორული ტენდენციები, რომელნიც აიშალნენ საგრძნობლად ვიდრე არ გამოირკვევა საზღვრები, და საერთოდ სახელმწიფოებრივობის დამახასიათებელი ატრიბუტები, ვიდრე მშვიდობიანობაზე საუბარი ნაადრევია. ამნაირი მშვიდობიანობა ხომ ძველადაც იყო, მეფის დროს, მაგრამ ჩვენ ამას მშვიდობიანობას როდი ვეძახით.

„ბაქოს პროლეტარიატი“ მოწადინებულია ერთი მთლიანი ორგანო შექმნას, რომელიც ეკონომიურად გააერთიანებს ამიერ-კავკასიას, რომელიც იმუშავებს რუსეთის დირექტივების მიხედვით, და ეს ორგანო იმ ხასიათის დაწესებულებად დაუსახავთ, რომელიც დაიტევს მთელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. რაღა საჭიროა მიხვეულ—მოხვეული რეზოლიუციები. სთქვით აშკარად, რომ ამიერ-კავკასია კვლავ უნდა შეუერთდეს რუსეთსო და ყველაფერი აშკარა გახდება. თუმცა გამოაშკარავებაა უკვე ამ რეზოლიუციის მერვე მუხლი, სადაც ნათქვამია:—„უარყოფით-რა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის ფედერატიულად შეკავშირების ტენდენციას და ვითვალისწინებთ-რა, რომ პროფესიული მოძრაობა, თავის განვითარების პროცესში უარყოფდა ყოველთვის ფედერალიზმის პრინციპს, აზერბეიჯანის პროლეტარიატი აყენებს ორგანიზაციულ და იდეიურ გაერთიანების პრინციპს ამიერ-კავკასიის პროფ. კავშირების, რუსეთის პროფკავშირებთან“... და სხ... „გაუმარჯოს კავკასიის პროფესიულ მოძრაობის გაერთიანებას, გაუმარჯოს კავკასიის პროლეტარიატის კავშირს აღმოსავლეთის პროლეტარიატთან“. ჯერ უნდა მოვახსენოთ ბაქოელ ცენტრალისტებს, რომ პროფ.-კავშირების ისტორია ფედერალიზმის პრინციპს არამც თუ უარჰყოფს, პირიქით, ამ პრინციპს ემყარება, და დღესაც შრომის ფედერაციებით არის მოფენილი ევროპა. მხოლოდ რუსეთში არ გადაშენებულა ჯერ ცენტრისკენ მსრბოლი ენერგია, მაგრამ ისიც მალე მოხდება ფედერალიზმის სასარგებლოდ.

მხოლოდ ერთია გაუგებარი: ბაქოს პროლეტარიატი ისვრის გაერთიანების ლოზუნგს ამიერ-კავკასიის და რუსეთისათვის, ხოლო აღმოსავლეთის პროლეტარიატთან კი შეკავშირებლად მოგვიწოდებს. კავშირი და ფედერაცია ერთი და იგივე ცნებაა. თუ ერთ შემთხვევაში უარჰყოფთ კავშირს ანუ ფედერაციას, რატომ მეორე შემთხვევაშიც არ ამბობთ აღმოსავლეთის პროლეტარიატის რუსეთთან შეერთების შესახებ? მაგრამ აშკარაა რატომაც.

აღმოსავლეთში საკუთარი სახელმწიფოები აქვთ და თქვენც მათთან მხოლოდ ფედერაცია გინდათ. ამიერ-კავკასიაში კი კვლავ რუსეთის სახელმწიფო გეჩვენებათ და ვერ ითმენთ ფედერალიზმს. ერთი კი გავიწყდებათ, რომ საბჭოთა რუსეთმა თავისი სახელმწიფოებრიობა ყოველ შემთხვევაში სიტყვით მაინც ფედერალიზმის პრინციპზე ააგო, რასაც თქვენ ასე ანაზდეულად და ხელის ერთი აქნევით უარჰყოფთ.

ჩვენ გვესმის თქვენი წუხილი. გვესმის თქვენი მისწრაფება. ვიცით ის ტენდენციები, რომელსაც ჰფარავთ რევოლიუციის წითელ დროშით, და მიტომაც თქვენ რეზოლიუციებს ქართველი მშრომელი ხალხი არ გაჰყვება. იმიტომ კი არა, რომ კავშირის წინააღმდეგნი ვიყვეთ, იმიტომ რომ კავშირის მომხრენი ვართ და რუსეთის მასშტაბით კი არა, მთელი ქვეყნის და ამ მთელი ქვეყნის მშრომელთა გაერთიანების საფუძველი ფედერალიზმია. ფედერალიზმის ნიადაგზე უნდა დაკავშირდნენ ეროვნულად დარაზმული მუშები, და ამიტომ დამოუკიდებელ საქართველოზე ჩვენი მუშები არამც თუ ხელს არ აიღებენ, პირიქით მთელ ენერგიას მიანდომებენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

„ბაქოს პროლეტარიატს“ ქართველი მუშები არა დროს არ სთვლიდნენ თავის მეთაურად, არც ეხლა სთვლიან მასწავლებლად, და კვლავ განაგრძობენ იმ გზით სიარულს, რომელიც ერთი მხრივ განამტკიცებს ჩვენს ეროვნულ არსებობას და მეორეს მხრივ დაგვაკავშირებს მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხთან.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

## ბრძოლის პერიოდები

1

იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და რევოლიუციონური დემოკრატიის შორის საერთაშორისო მაშტაბით არსებულმა ბრძოლამ დღემდე ორი პერიოდი განიცადა. არსებითად ამ ორ ძალთა შორის ყოფილი წინააღმდეგობანი იმავე ხასიათს ატარებს, როგორიც ქონდა მას ბრძოლის დასაწყისში. ჩვენ ვყოფთ ამ ბრძოლას ორ პერიოდათ არა იმიტომ, რომ საგანი ბრძოლის, მოპირდაპირეთა შორის სხვა შეიქმნა, არამედ იმიტომ, რომ მეთოდები ბრძოლისა თვალსაჩინოდ შეიცვალა.

თავისთავად ცხადია რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ძალთა წონასწორობასთან გვაქვს საქმე. თუ სადავო საკითხი არ გადაჭრილა, ხოლო ბრძოლის ტაქტიკა სხვა ხასიათს ღებულობს, აშკარაა რომ შეიქმნა ისეთი ძალები და მიზეზები, რომელთაც გადასწრეს ბრძოლის გარეგნული ფორმა და გარკვეულს კალაპოტში მიმართეს იგი.

მაშასადამე ჩვენს წინ სდგას საკითხები: 1. როგორია ეს ბრძოლის ეტაპები? და 2. რა მიზეზებმა გამოიწვიეს იგი?

პირველ კითხვაზე ჩვენ ლაკონიურად უპასუხებთ: ბრძოლის პირველი პერიოდი ღია და ხელშესახები ომით ხასიათდება, მეორე პერიოდი კი უფრო სიფრთხილით და არა პირდაპირი ბრძოლით აღინიშნება. ბრძოლის მეორე პერიოდზე შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ორივე ბანაკმა უკან დაიხია, რათა უფრო სასიკვდილო და დროშერჩეული მახვილი ჩასცენ ერთი-მეორეს. რამ წარმოშვა პირველ შემთხვევაში პირისპირ აქტიური შეხვედრა იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და დემოკრატიის შორის და მეორე შემთხვევაში უკან დახევა და დაკვირვებული სიფრთხილე მოწინააღმდეგეთა შორის დროს? ამ კითხვაზეც მოკლეთ შეგვიძლია ვუპასუხოთ: ბრძოლის ამ პერიოდებს უმთავრესად ჰქმნიდა ძალთა წონასწორობის გამორკვევა, გამოანგარიშება.

პირველ წერილში ჩვენ შევეცდებით აღვნუსხოთ ის მიზეზები, რამაც იმპერიალისტური ბურჟუაზია აიძულა ბრძოლის სხვა ხერხი აერჩია, ვიდრე ეს ჰქონდა მას თავიდგანვე მიღებული.

კაცობრიობის გამანადგურებელი ომი გათავდა, შეთანხმების ბუმბერაზებმა გაიმარჯვეს, ბრუ დამსხმევი ნეტარება ისე ახლოს იყო... იმპერიალისტური ქვეყნების ძლიერი და გაუმაძღარი ბურჟუაზია უკვე მსოფლიოს დანაწილების გეგმების შემუშავებას შეუდგა. ვერსალი მშვიდი კმაყოფილებით და ვითომც ძმური სათნოებით გამოიყურებოდა. გაიმართა ნაციათა ლიგის შესაქმნელად წინასწარი მუშაობა და თათბირნი; ყურებს გვიჭედდენ ქვეყნად „მშვიდობა“ და „ბედნიერება“ უნდა დავამყაროთო. ამავე დროს კაპიტალისტური ქვეყნები წარმოების აღდგენას შეუდგენ, გამალებული და ხარბი მუშაობით იწყეს იმის აღდგენა, რაც ბურჟუაზიამ მათსის ველზე უმბარების ქვიშ დამარხა და რაც მის ძალლონეს აღემატებოდა. მაგრამ ჯერ კიდევ საერთაშორისო ომის შედეგებს სავსებით თავი არ ქონდა გამოჩენილი და ხალისიც ახალი „ნორმალური“ პირობების დამყარებისა ბურჟუაზიას დიდი ჰქონდა, რომ მის წინ მთელი საშინელებით წამოიჭრა საერთაშორისო რევოლიუციის ხიფათი. ანტანტას ულაშქრია ომის დროს რუსეთში, ომის შემ-

დეგ კი მას უშუამავლოდ დაუპირდაპირდა. რუსეთის რევოლუციის მძლე ქშინვამ დაარღვია მირაჟული მყუდროება კაპიტალისტური მსოფლიოსი. საერთაშორისო რევოლუციის ლოზუნგი გარკვევით დაუპირდაპირდა საერთაშორისო იმპერიალიზმს და ბრძოლაც გაჩაღდა.

ბურჟუაზიას არ ჰქონდა გათვალისწინებული წინააღმდეგობითი უნარი, რომელიც რუსეთის რევოლუციამ გამოიჩინა შემდეგში და ამიტომაც მას ყოველი მხრიდან ეკვეთა, ყოველი მხრიდან შეეცადა მისი სისხლში ჩახრჩობას. მას არ ჰქონდა გათვალისწინებული ის გარემოებაც, თუ როგორი მოუშუშებელი იყო საერთაშორისო ომის ჭრილობანი. მას ავიწყდებოდა, რომ პირველი შეხებასთანვე ეს ჭრილობები გაიხსნებოდა და უწინარეს ყოვლისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ შურისძიებაში გადმოინთხეოდა.

ამ ძალთა გაუთვალისწინებლობით აიხსნება რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ წარმოებული მრავალი ომები დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის მიერ. ომის შედეგების მოუშუშებლობით აიხსნება საერთაშორისო ეკონომიური კრიზისები, რომლის შედეგი ყველას მოეხსენება: უმუშევრობა, ხელფასის დაცემა და შიმშილის ჩონჩხი არიან მისი უცვლელი თანამგზავრნი. ამ რიგად ნადავლი ევროპაც ფარაონის იმ მსუქნად ძროხებს მოგვაგონებს, რომელთაც მჭლე ძროხები შესჭამეს და მაინც გაუმაძღარნი და მჭლე დარჩნენ. ბურჟუაზიამ გაანადგურა მხეცურ ომში ქვეყნის სიმდიდრე და მაინც ამ ომიდან ეკონომიურად გალატაკებულ-გაძვალტყავებული გამოვიდა იგი.

ბურჟუაზია ჩაერია რუსეთთან ხელჩართულ ომში შინაგან თუ გარეშე ძალების ამოძრავებით. ეკონომიური ომიც მთელი სისასტიკით იქმნა მის მიერ წარმოებული; მაგრამ ვერც ბლოკადამ და ვერც შავი გენერლის ლაშქრებმა დასახულს მიზანს ვერ მიაღწიეს—რუსეთის რევოლუციამ ყოველივე შეტევას ღირსეულ კონტრ-შეტევით უპასუხა. ბურჟუაზია საგონებელში ჩავარდა არა იმიტომ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომი მას მილიარდებს აფლანგვინებდა, არამედ უფრო იმიტომაც, რომ რუსეთის სენით დაავადმყოფება იწყო თვით ანტანტის მეზობლებმა და თვით ამ კავშირის სახელმწიფოებმაც. სენი მეტად ეპიდემიური ხასიათის აღმოჩნდა და ამიტომ ის ჯერ-ჯერობით იძულებული იყო ხელი აეღო რევოლუციის წინააღმდეგ უშუალო შეტევაზე და ფრთხილი კომბინაციებით მოინდომა მისი დამარცხება. თვითეული ქვეყნის ბურჟუაზიას დღეს გონებას უკარგავს უმთავრესად არა რუსეთის რევოლუცია თავისთავად, არამედ საშიშროება თავის სახელმწიფოში რუსეთის ექსპერიმენტის გამეორებისა, მართალია ბურჟუაზიამ შესძლო გერმანიის სოციალისტური პროლეტარიატისაგან თავის ძალაუფლების დაცვა, მართალია ბუდაპეშტის წითელი „ოაზისიც" მან სისხლის მორევში ჩაახრჩო, მართალია იტალიის რევოლუციაც მზაკვრულად ალაგმა, მაგრამ მან ვერ მოახერხა ამ ქვეყნების ჭაბალი რევოლუციების შესაძლებლობათა თავიდან აცილება; დღეს ცენტრალური ევროპის ბურჟუაზია ჭეშმარიტად ვულკანზე ზის, რომლის ამოხეთქისგან ის დაზღვეული არ არის. პირიქით ამ ქვეყნებიდან მეტის გრგვინვით და მეტის თავზარდამცემი სიხშირით ისმის რევოლუციონური ხმა მუშათა კლასისა.

ასეთს გამარჯვებაზეა ნათქვამი: „კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება და ჩვენ დავმარცხდებითო". ამით აიხსნება ის ზედმეტი სიფრთხილე, რომელსაც დღეს კაპიტალის მაგნატები იჩენენ. ამ ობიექტიურ პირობათა გათვალისწინებიდან გამოდის ნახშირის და ლითონის „კოროლების" თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ტაქტიკა. ეს პოლიტიკა კი მეტისმეტი ყოყმანით, მეტის მეტი ყაყუჩობით ხასიათდება. ყოველივე ამის მიზეზი კი ვიმეორებთ, ევროპის, ამერიკის და იაპონიის ეკონომიურ კრიზისში უნდა ვეძიოთ: თვითეულ ქვეყნის ბურჟუაზიას წადილი აქვს ამ ეკონომიურ კრიზისს თავი სხვის ხარჯზე შამოუაროს. ამიტომ ძველ ამხანაგთა შორის ინტერესთა სოლიდარობა სადღაც გაქრა და თვითეულ სახელმწიფოთა სეპარატიული მისწრაფებები ამოტივტივდა.

დღევანდელ ტიტანიურ სახელმწიფოთა კოლონიალური ომის მოლოდინი და ახალი კოალიციები ხასიათდება არა მარტო კაპიტალიზმის მსუნაგობითა და გაუმაძღრობით. აქ უმთავრესად საკითხი კაპიტალიზმის კრიზისიდან გამოსვლის ფარგლებში ისმება.

მაგრამ ომის დ წყებაც რომ სახიფათოა მისთვის? გარდა იმისა, რომ საერთაშორისო ომმა დიდი უბედურება მოუტანა კაცობრიობას, მას თან დაჰყვა ერთი დიდებითი თვისება: ფარდა აეხადა მასების თვალში იმპერიალისტურ ომების უაზრობას და მის დამღუპველობას მშრომელი ხალხისთვის. მაშასადამე ბურჟუაზია ახალი იმპერიალისტური ომით არა მარტო „რისკობს" მოწინააღმდეგესთან გამარჯვების სასწორზე, არამედ კვლავ რევოლუციის ხიფათს ადგება. (ხადია მშრომელი ხალხი ისეთი პასიური არ იქნება თავის ბედით ბურჟუაზიის მიერ ასე უპასუხისმგებლო თამაშით, როგორც ეს იყო 1914 წლის ომის დროს. ამ აქტიურ წინააღმდეგობას კი რევოლუციის კარები ღია აქვს და რაღა თქმა უნდა ასეთი ავანტიურა ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი არ არის.

ამგვარად გამოუვალი მდგომარეობა იქმნება კაპიტალისტურ სახელმწიფოებისათვის. წინ რევოლუციასთან პირდაპირი შებმა—საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის მტანჯველ სიზმრებს იწვევს, უკან იმპერიალისტურ ომებთან დაბრუნება — რევოლუციის აჩრდილს თან ატარებს. ამიტომაც იგი ნახევარზომებით, წყალ-წაღებული ხავს ეკიდება და გადამჭრელ ნაბიჯების გადადგმას გაურბის.

**მოთმინებითი და დროსშემრჩევი ტაქტიკა აქვს დღეს აღებული მხოლოდ ბურჟუაზიას.**

მაგრამ მოვლენათა განვითარებასაც თავის ულმობელი ლოღიკა აქვს; რამდენად იგი თავის განვითარების სისრულეს მიაღწევს, იმდენად კაპიტალისტურ სახელმწიფოების ბურჟუაზია იძულებული გახდება ორში ერთი გარკვეული გზა აირჩიოს: **ან იმპერიალისტური ომი, ან ამ ომის წინ, ომი რევოლუციასთან.**

მომავალი დაგვანახებს, თუ რომელი გზა იქნება ბურჟუაზიისთვის მისაღები.

რა მდგომარეობაშია ამ ჟამად საერთაშორისო რევოლუცია და რა ტაქტიკა ქონდა და აქვს მას არჩეული?

ეფ. ხაჩინოველი.

## ქართული პრესა

გაზ. „კომუნისტში" დაბეჭდილია მეთაური აჭარის ავტონომიის შესახებ. ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია, მას ჩვენ არა ერთი წერილი უძღვენით, და ეხლა ამ საკითხს მმართველი პარტია უბრუნდება. გაზეთი სწერს:

> აჭარის ავტონომიის ცხოვრებაში გატარების აზრი და ინიციატივა თვით საქ. რევკომს ეკუთვნის, რომელმაც წინათვე შეადგინა სათანადო კომისია, რომელმაც ავტონომიის პროექტი შეიმუშავა უკვე.

ეს აზრი და ინიციატივა საქ. რევკომზე ადრე ყოფილ საქ. მთავრობას ეკუთვნის, დღეს მხოლოდ ახალი კუთხით წარმოსდგა ეს საკითხი, და უნდა ითქვას, რომ საქ. რევკომის აზრის საწინააღმდეგოთაც. ამის შესახებ ქვემოდ ვიტყვით, ეხლა კი უფრო საინტერესოა ის გზა-გზა ნაწერი მოსაზრებები, რომლის შესახებაც არა ერთხელ გამოგვეკამათა იგივე გაზეთი, და ეხლა იმეორებს ჩვენს ნათქვამს. საკითხი სახელმწიფოს ტერიტორიას შეეხება. გაზეთი სწერს:

> საბჭოთა საქართველოც დამოუკიდებელ რესპუბლიკად არის გამოცხადებული და, რადგანაც სახელმწიფო უპირველესად ტერიტორიალური ცნებაა, ის გულისხმობს ერთგვარ საზღვრებს.

სწორედ ამ საზღვრების გამორკვევას მოვითხოვდით და მოვითხოვთ დღესაც, და რაც მალე მიიღებს ეს განყენებული ფორმულა კონკრეტიულ სახეს, რაც მალე გადიქცევა იგი პრაქტიკულ პოლიტიკის ფაქტად, მით უკეთესად ჩამოიქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ არ გაუფრთხილდით ტერიტორიას, თუ ამა-თუ იმ მოსაზრებით ყველა უკმაყოფილოს ტერიტორიის სახით ძღვენი მივთავაზეთ, სახელმწიფო მხოლოდ მოჩვენებად გადიქცევა. კონკრეტიულად აჭარის და მთლად სამაჰმადიანო საქართველოს შესახებად ჩვენ ამ აზრს ვამბობდით. შეუძლებელია საქართველოს ამ ნაწილის ცალკე სახელმწიფოდ გაშიოფა. ეს ერის დასახიჩრებას უდრის, და „ახალ მეჯლისის" მეთაურნადლუმიც, რომელიც ცალკე სახელმწიფოს შექმნის ტენდენციით არის დამძიმებული, უსათუოდ უარყოფილ უნდა იქმნეს. „კომუნისტი" ამავე აზრს იმეორებს:

> მართალია აჭარა, როგორც სხვა განაპირა მხარე თავისებური ცხოვრების პირობებით და კულტურული დონით განსხვავდება საქართველოს ცენტრისაგან, მაგრამ ეს იმის საბუთად არ გამოდგება, რომ ყოველ ასეთ კუთხეს ყოველ შემთხვევაში დამოუკიდებლობა და სახელმწიფოდ დასვლის ნება მიეცეს, რადგან სხვა სახელმწიფოც აღარ შეინარჩუნება, ვინაიდან მის განუყოფელ ნაწილებს შეადგენს, როგორც ცენტრი ისე პერიფერიები.

დიახ, საქართველო მთლიანი ერია, და მთლიან სახელმწიფოდვე უნდა დარჩეს. დეცენტრალიზაცია, სახელმწიფოს შიგნით მომხდარი სულაც არ ნიშნავს „ახალ სახელმწიფოების" შექმნას, და ვინც ამგვარ ტენდენციებს გამოაშკარავებს, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში, ამ ტენდენციის მატარებელი „ახალი მეჯლისი" მეტად გამოურკვეველი დაწესებულებაა. ჩვენ ვწერდით ამის შესახებაც, და ეხლა გაზ. „კომუნისტიც" იზიარებს ჩვენ ეჭვებს.

სამწუხაროთ ჯერ კიდევ არაა საკმაო ცნობა იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს აჭარის ახალი „მეჯლისი" ან მცხოვრებთა რა ნაწილებს წარმოადგენს, მაგრამ ერთი კი აქედანვე აშკარაა. სახელდობრ ის, რომ ავტონომია იქნება ისეთი და გატარდება იმდენათ, რამდენათაც ამას მხარს დაუჭერენ და მიიღებენ აჭარის მშრომელი ხალხის მასსები. ამ მასსების სურვილი კი გამოითქმება აჭარის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში და აი ის იქნება ამ კითხვის საბოლოვოთ გადამწყვეტი.

საქ. რევოლ. კომიტეტი მოვალეა ფხიზლად უდგეს საქართველოს ინტერესებს, და არავის არ მისცეს ნება მისი ცოცხალი სხეულის დაგლეჯისა.

## მოგონება და სინამდვილე

სადღაც უსური *) ჰქრალ ჯუნგლის ქვეშ მომხიბლავ რხევით მიილტვის მორცხვად,

მძლავრი ამური *) ურიცხვ ლილი ტალღათა ნაჩქარევით მას ეკვეთება.

იქ—ჩაუვალ კლდეზე, ბუნების ტრფობით მე მოხიბლული, ვსტკბებოდა მარტოდ...

შორეული წარსულია...

ჯამუკმა წერილი გადმომცა—მიხმობდნენ საჩქაროდ მეც გავეშურე.

ქუჩაზე გაუმოლდმულია ორ-სართულიანი ხის სასტუმრო, ყოფილ „კატორღელების" საქმიანობის და შრომის ნაყოფი.

*) უსური და ამური შორეულ აღმოსავლეთის მდინარეებია.

## იმპერიალიზმი და რევოლუცია აღმოსავლეთში.

7.

ჩვენ მოკლედ გავეცანით აფრიკაში შექმნილ პირობებისა და ევროპის ინდუსტრიალიზმის ბატონობის შედეგებს შავს კონტინენტზე. გადავიდეთ ახლა აზიაში და გავიცნოთ იქ არსებული მდგომარეობა. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული რამოდენიმე მომენტი ინდოეთის ცხოვრებიდან, საიდანაც ნათლად მოსჩანდა ინგლისის პოლიტიკის მთავარი ხაზები. ინგლისმა სრული უუფლებობა შეჰქმნა ინდოეთისათვის და გარდა ამისა ის თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის ბაზად.

ინგლისის ბატონობა ინდოეთში, ისე როგორც აფრიკას კოლონიებში მთელი ევროპის ბატონობა, ჩვენ შეგვიძლია გავყოთ ორ უმთავრესს პერიოდათ. პირველი პერიოდი ეს არის სავაჭრო კაპიტალის ბატონობის ეპოქა. მე-19-ე საუკუნის თითქმის მეორე ნახევრამდი ეკონომიური პოლიტიკა მპყრობელ ნაწილებისა კოლონიებისადმი მერკანტილიზმის პრინციპებში გამოიხატებოდა. დაუნდობელი ყვლეფა, მოტყუილება,— აი რა ახასიათებდა ვაჭრულ კაპიტალის ბატონობას. მან გამოზიდა კოლონიებში დაგროვილი ნედლი მასალა, ოქრო, ვერცხლი, სამაგიეროდ შეიტანა სიდატაკე და გახრწნილება. ამ პოლიტიკან ხელმძღვანელობდა ინგლისის სავაჭრო ფირმა „ლონდონის კომპანია". ამ პერიოდში ვერ მოახდინა არსებითი ცვლილება ინდოეთის ცხოვრების ვითარებაში. მეორე პერიოდი იწყება მონოპოლიური კაპიტალის შესვლით, გარკვეული ეკონომიური სისტემით და მიზნით. მიუხედავად ევროპის ეკონომიური სტრუქტურის შეცვლის, თანამედროვე იმპერიალიზმი ძველი ტენდენციებით იკვებებოდა. შეიცვალა გარეგანი ფორმა და მან უფრო სისტემატიური და ორგანიზაციული ხასიათი მიიღო. დღეს იმპერიალიზმის ეკონომიური პოლიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ მოახდინოს კოლონიის ყოველ მხრივი ექსპლოატაცია და თავის ინტერესებს დაუმორჩილოს კოლონიის მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება. ამ პერიოდით იწყება კოლონიების საკუთარი მრეწველობის ჩახჩობა, განადგურება და მეორეს მხრივ კი ამავე ნიადაგზედ მეტროპოლიის ხელში დაგროვილ მრეწველობის განვითარება და გაფართოვება. მეტროპოლია ებრძვის კოლონიის დამოუკიდებელ ეკონომიურ განვითარებას და სხვა და სხვა საშვალებებით გზებს უხშობს ამ მისწრაფებას. ფინანსიურ კაპიტალის პერიოდმა გამოიწვია დიდი ცვლილება და გარდატეხა ინდოეთის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში. სოციალური დიფერენციაცია პროგრესიულის გზით განვითარდა, მთელი ეკონომიური ცხოვრება მცირე რიცხვოვან ინგლისელ მაგნატების ხელში მოექცა, ხალხი გაღატაკდა და დამშივდა. „ინდოეთის პრობლემას წარმოადგენს მისი მცხოვრებთა სიღატაკე"—ამბობს ერთი მწერალი. ამ გვარად ევროპის კაპიტალმა თავის შედეგებს მიაღწია ინდოეთში და ხალხი პროლეტარიზაციის გზას დაადგა. ინგლისის კაპიტალი ინდოეთში, რომლის საერთო ღირებულება ომამდი აღწევდა 350 მილ. გირვანქა სტერლინგს ყოველმხრივ ყვლეფს და ანადგურებს ინდოეთის ეკონომიურ ცხოვრებას.

მთელი მოგება ამ კაპიტალიდან, რომელიც ინდოეთის ნიადაგზედ მოჰქონდებს და ექსპლოატაციას იწვევს აღმოსავლეთის ხალხის, ასეული მილიონებით მოექნება მეტროპოლიაში. ინგლისისა და სხვა მაგნატების ხელში. დამახასიათებელი მომენტი მოიყვანა როზა ლუქსემბურგმა თავის წიგნში „Накопление капитала"—ამ საკითხის შესახებ ჰოლანდიის ინდოეთის შესახებ:

—„მოგება? სუეცის არხით ყოველ დღე გამოდის ნიდერლანდების ერთი-ერთი ორთქლმავალით. ყოველ წლიური მოგება ნიდერლანდის კაპიტალისტებისა რომელნიც გადმოდის მათ ხელში ზღვაპირულ ქვეყნიდან, ჯერ კიდევ 1917 წ. უდრიდა 200 მილ. გულდენს, ახლა კი, როცა ასე შეუდარებლად გაიზარდა ფასები კოლონიალურ პროდუქტებზედ, ის არა ნაკლებ 300 მილ. გულდენისა იქნება; ამასთანვე ჰოლანდიის იმპერიალისტები უკვე ლაპარაკობენ ინდოეთიდან კარგათ მოწყობილ ექსპლოატაციის საშუალებით ორ მილიარ მოგების გამოტანის შესაძლებლობის შესახებ. ეს შეეხება ჰოლანდიას, რომლის ბატონობის ქვეშ ინდოეთში მოქცეულია 40 მილ. მცხოვრები. ინგლისს ამ შემთხვევაში ყოველ მხრით უკეთესი პირობები აქვს და მისი მოგებაც შედარებით მეტია.

მაგრამ არა მარტო კაპიტალის მოგებით სწუწნის ინდოეთს ინგლისი: მთელი ნედლი მასალა, მუშა ხელი და სამხედრო ძალა ინდოეთის მაზრებიდან იკრიფება. ნედლი მასალის შესახებ ჩვენ რამოდენიმე ცნობა უკვე გვქონდა მოყვანილი. იმპერიალიზმის ერთი საზრუნავი საგანი აღმოსავლეთში არის ნედლი მასალის პოვნა. ევროპა ამ მხრივ დამშეულია და აღმოსავლეთის კოლონიალური მხარეები შეადგენენ იმ დაუშრეტელ რეზერვუარს, საიდანაც კრეფს თავის საზრდოს ევროპის კაპიტალისტური მეურნეობა. ამ მხრივ დიდი ყურადღება არის მიქცეული სახელმწიფო მაშტაბით ამომლევ მრეწველობის განსავითარებლად ამ ნიადაგზედ განვითარდა, აგრეთვე, ინდოეთის სამეურნეო ცხოვრებაში მაჩინჯი განვითარება და გადიდება ამა თუ იმ ნედლი მასალის დამუშავებისა რომელიც ვითარდება სხვა არაგანვითარებულ დარგების ანგარიშზედ.

ინგლისი თავის საკვებ მასალას ინდოეთის კოლონიებიდან ზიდავს განსაკუთრებით და თავის დაუნდობელი ყვლეფის სისტემით ქმნის სიმშილსა და სიდატაკეს ინდოეთის ხალხისთვის. ინგლისის სისტემა იმდენათ დაუნდობელი და შეუბრალებელია, რომ სიმშილობის საშინელ პერიოდებში იგი დაუზოგველად ეზიდება სურსათ-სანოვაგეს თავის სახლში მაგ. 1917—18 წლების საშინელ სიმშილობის დროს მაინც გაიტანა ინდოეთიდან 247 მილ. გირ. სტერლინგზედ მეტი ღირებული საკვები პროდუქტები. „я не живу в Индии, но я живу Индией",—კვლავ შეუძლიათ გაიმეორონ ინგლისელებს.

რაც შეეხება მუშა ხელს ამ მხრივ ინდოეთი დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს ინგლისის კაპიტალისთვის. იმპერიალიზმმა ინდოეთში ადგილობრივ მუშებისათვის ფაქტიური მონობა შემოიღო. განსაკუთრებულ კანონების ძალით სავალდებულო შრომის შესახებ კაპიტალისტებს მთავრობის დახმარებით გაჰყავთ ინდოეთიდან რამოდენიმე ათასობით ადგილობრივი მუშები სამუშაოდ სამხრეთ-აფრიკის მაღაროებში, ფიდჟის ფერმებში, ინგლისის გვიანის პლანტაციებში და კუნძულ მავრიკიაზე ამ ჟამად ინგლისის კოლონიებში არის სამუშაოდ ორ მილიონზე მეტი ინდუსი მუშა. *)

ინდოეთის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრება აუტანელი და საშინელია, ეკონომიური პირობების გამო. გასული საუკუნის დამლევამდი ინდოეთში არ იყო პროლეტარიატი ამ სიტყვის საზოგადო მნიშვნელობით. მაგრამ ქვეყნის იმპერიალისტურ ბრიტანეთის ფინანსიური კაპიტალის დამორჩილებამ 80 პროცენტი მთელი მცხოვრებლებისა პროლეტარებათ გადააქცია თითქმის მთელი მიწის საკუთრება გადავიდა მმართველობის ხელში, რომელიც აძლევს იჯარით უდიდესს ფასებში გლეხებს, რომელთაც მთელი თავიანთი ცხოვრება სიმშილობაში უნდა გაატარონ. სამ მეოთხედზე მეტს მცხოვრებლებისას 80 პროცენტიდან, მიწის შრომით რომ ცხოვრობენ, არ ეკუთვნით არც ერთი მტკაველი იმ მიწიდან, რომელსაც ისინი ამუშავებენ. ეს მილიონი ხალხი სცხოვრობს აუწერელ გაჭირვებაში... მასთანვე ისინი საშინელს ძალდატანებას განიცდიან ადგილობრივ მყვლეფელების მხრიდანაც... მთავრობამ, აგრეთვე, მთელი პროვინციები, რამოდენიმე მილიონ მცხოვრებლების თავის საკუთარ ფერმებათ გადააქცია: ხალხი სიმშილში იხრობა მაშინ, როდესაც მათი ოფლითა და შრომით შექმნილი გააქვთ საზღვარ გარეთ.

ყველა ესენი შეადგენენ უდიდეს კადრს პროლეტარებისა, რომელიც ინგლისის კაპიტალის ბატონობამ შეჰქმნა ინდოეთის სასოფლო მეურნეობის ცხოვრებაში. ამას უნდა მივუმატოთ 5 მილიონი სამრეწველო პროლეტარიატი, რომელნიც ინდოეთის სხვა და სხვა მრეწველობის დარგებში არიან მოქცეულნი.*)

ამ რამოდენიმე ათეული მილიონი პროლეტარის შრომასა და ოფლს თვისებს და ყვლეფს ინგლისის კაპიტალი გაასკეცებული ენერგიით და ძალ-ღონით.

მაგრამ ინგლისის იმპერიალიზმი არ კმაყოფილდება მარტო ეკონომიურ-

*) „Бюллетень Коммунистического И—ла". 1920 წ. № 5—6.

*) იხ. Рой: „Революционное движение в Индии".

შიგ ეზოში—განცალკევებით, სასტუმროსკენ პირ-შექცევით, პატარა ფიცრული დგას... ამ ფიცრულისკენ მიმავალ ბილიკზე მეხსოვს ჩემი თავი.

ოთახში შევედი, მარჯვნით მასპინძელი წამოიჭრა და მის პირისპირ მჯდომ ყმაწვილზე მითითებით მითხრა:

„იცნობდეთ—სილოვანი ნ... ....ი, დღეს ჩამოვიდა სახალინიდან".

სილოვანი თავისუფლად მომესალმა და მის გვერდით მჯდომ ყვავილით სახე დაჭკნარ ყმაწვილს გამაცნო...

ბუნების განსაცვიფრებელ ნაქმნს წარმოადგენდა სილოვანი: ცალ ფეხის იატაკზე დაყრდნობით მაგიდას პირს ჩამომჯდარი ის, თავისი მძლავრი და ახოვანი აგებულობის ყოველი ხაზის დახვეწილობით, ხიბლავდა მაყურებელს!

გაშლილი და მოფერიანებული თვალთა ხედვა, თავისუფალ შინა სხივითა შუქებულ სახეზე, თვისდაუნებურად იპყრობდა მაყურებელს... ბაასი, რა საკვირველია, სახალინი-ან თავის დაბრუნების და მგზავრობის ირგვლივ ტრიალებდა... ნამდვილი ჯოჯოხეთია შორეული აღმოსავლეთის ტყვრანი თავისი ქინქლამუშლით, მით უფრო საშინელება იყო ის თავისუფლების მაძიებელთათვის რადგანაც ჩვეულებრივ ბილიკებით ამგვარის გასწვრივ დღითი მათი სარგებლობა არ შეეძლოთ...

განშორებისას სილოვანს შევეკითხე მისი ამხანაგის ვინაობას—გამოირკვა—ჩვენი ერთ-ერთ მეზობელ მთიელ ხალხის შვილი, ყოფილიყო—ქართული ენის არა მცოდნე...

სილოვანის მასთან ამხანაგური შეუღლება ჩემთვის გაუგებარი იყო—ეს მე სილოვანს გაუზიარე—მან მიპასუხა:

**„კაცს იმე დამკლავს, რომ ხელი არ უმტყუნებს, მე კი ხაჭიროების დროს ცხენები ვერ გავიმეტე მოსაკლავათო *)"**

გამახსენდა ციმბირის ხელისუფალთაგან არა ერთხელ გამოთქმული აზრი: „უწყალო, ბრიყვულ მკვლელობაში ჩვენ ქართველებზე ეჭვს არასოდეს არ მივიტანთო".

ეს სულიერ კულტურის ნაშთი—ქართული ადამიანობა—დღევანდელი თქმით ჰუმანიური თვისებანი განსაცვიფრებელი უნდა იყოს ყველასათვის, ჭვინც კი გაითვალისწინებს იმ უტყუარ სინამდვილეს, რომ ჩვენ, ქართულ სულიერ ფორმებში მოქცეულნი, მეშვიდე საუკუნოდამ ქრისტეს შობის წინ დავეკარგეთ განვითარებისა და წინსვლისა ბუნებრივ პირობანი!

ამ ხნის განმავლობაში არაბთა, სემიტთა, თურქთა და მონგოლთა მონათესავე შიშველ მართალნი ველური ერები იჭრებოდენ ძველ აღმოსავლეთის ფარგალში, არბევდენ და აფუჭებდენ ბინადართა შრომით და ღვაწლით შექმნილ ღირებულებებს და სხვებთან ერთად ჩვენ ქართველებსაც გვერეკებოდენ კავკასიის დრო-ტყეებში! ამ აფშანელ ბარბაროსულ პირობებში ადამიანობის შენარჩუნება, იმისთანა ღირსებისა და სიმაღლისა, რომ ყოველ ტანჯული და წამებული მტერი თუ მოყვარე ცხოვრებისაგან გარიყული და შეშინებული აქეთკენ მოეშურებოდა და მოეშურება თანაგრძნობის და ზნეობრივ სითბოს მოსაპოვებლად, სრული თავდებია ქართველი ხალხის გამარჯვებისა! ის თანამედროვე ცხოვრების დაუნდობელ გარდაქმნის გრიგალიდან გამოვა ისე, რომ მას „არც არავისი შეეხება და არც არავისი შეეშინდება"—რადგანაც მისი ფაქიზი გული ყოველ არსისადმი ადამიანური თანაგრძნობითა აღსავსე არ ჩაეცინება მას არაფერს იმისთანას, რასაც აზის მიქედი სისასტიკისა და გულქვაობისა და თუ მისი სახელით ვინმემ ამის მსგავსი რამ ჩაიდინა ეს იქნება უუსაშინელესი წაბილწვა ქართველი ხალხის წმიდათა წმიდისა!..

ი. ჯაშკარიანი.

*) სილოვანი სახალინში დაბრუნდა ამხანაგის საშველად და ჭიმ ზამთარშივე დაიღუპა ჯარისკაცებთან ბრძოლის დროს.

---

ფინანსიური და მუშათა ექსპლოატაციით აღმოსავლეთში. იმპერიალიზმმა აქ დიდი რეზერვი ნახა სამხედრო ძალების და მათი საშუალებით დიდი ხანია აწარმოებს თავის სამხედრო ოპერაციებს როგორც ევროპაში, აგრეთვე კოლონიებში, ინდოეთის სიპაების მნიშვნელობა დიდი ბრიტანეთისათვის განუზომელია მით, რომ ტროპიკულ მხარეებში ევროპის ჯარს არ შეუძლია აწარმოოს მოქმედება მაშინ როდესაც ადგილობრივი მკვიდრნი, იქ შექმნილი ბუნებრივ პირობებთან შეზრდილნი არიან. ინგლისმა ინდოეთის მეომარ ხალხთაგან შეადგინა თავისი რეგულიარული სიპაების ჯარი და განსაკუთრებით მათი საშუალებით დაიმონა აღმოსავლეთის სხვა და სხვა ადგილები. ინგლისის საექსპედიციო კორპუსებმა, რომლებმაც დაიპყრეს სუდანი, სამხრეთ აფრიკა, ჩინეთისა და არაბეთის პორტები, იბრძოდნენ ავღანისტანის, ბირმანის, ჩინეთისა და სხვა ომებში უმთავრესად შესდგებოდენ ინდუსებისაგან ინგლისის ოფიცრობის მეთაურობით. ინდოეთის ჯარი ჯარის რიცხვი 1910 წ. 200 ათასამდი აღწევდა. ასეთივე ჯარები არის შემდგარი ინგლისის სხვა კოლონიებშიც მაგ. ეგვიპტეში არის ადგილობრივ მკვიდრ ხედივთა ჯარი და სხვა. ფერადი სამხედრო ძალა მიზანშეწონილად გამოიყენა ინგლისმა თანამედროვე ომში. ინგლისს რომ ინდოეთის ჯარი არ ყოლოდა სრულებით ვერ მოეგებოდა საფრანგეთსა და ბელგიას თანამედროვე ომში. ომის დასაწყისშივე ინგლისმა 150 ათასი ინდოეთის სიპაები გადმოასხა საფრანგეთში, ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, პალესტინაში, სპარსეთის ყურეში, ჩინეთში და სხვა. ამ ძალამ შეიძლება ითქვას გადამწყვეტი როლი ითამაშა საერთაშორისო ომის პროცესში.

ასე ყვლეფს ყოველ მხრივ ინგლისი ინდოეთს და მთელ თავის კოლონიებს. ინგლისის იმპერიალიზმმა თავის ბატონობის საფუძვლად გაიხადა ინდოსტანი და მთელი მისი ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება ინდოეთის ყვლეფაზე არის აგებული.

ასეთმა ურთიერთობამ ინგლისსა და ინდოეთს შორის ანტი-ინგლისური მოძრაობას შეუმზადა ნიადაგი აღმოსავლეთში. ინგლისსა და ინდოეთს შორის საომარი განწყობილება გამართული. მეომარმა ინდოეთის ხალხებმა ვერ აიტანეს ასეთი პირობები და აჯანყებები—უპასუხეს მოსულ მტერს. ამ აჯანყებებით არის მოცული მთელი მე-19-ე საუკუნე ინდოეთში. მაგ. ცამეტი წლის განმავლობაში, 1850—63 წ. ინგლისს მოუხდა ოცი ექსპედიციაზე მეტის გაგზავნა ამბოხებულთა დასამშვიდებლად. არ არის არც ერთი მხარე და მოდგმა ინდოეთში რომლის იარაღით ხელში დაპყრობა არ დასჭირვებოდეს ინგლისს. ინდოეთის ყოველს კუთხეში უხდება ომების წარმოება ადგილობრივ მკვიდრთა წინააღმდეგ ბრიტანეთის იმპერიალისტებს. ერთი ინგლისელი მწერალი ამბობს, რომ ინდოეთი ის ქვეყანაა, სადაც ინგლის ყოველთვის უხდება დიდი ომების წარმოება ამ ომებმა და აჯანყებამ მრავალი მსხვერპლი და დოვლათი შეიწირა ინდოეთში.

მაგრამ ძველი პირობები ახალმა მდგომარეობამ შესცვალა. ინდოეთის მოძრაობა ახალ სახეს და მეთოდებს ღებულობს, ახალი პროგრამითა და მიზნებით გამოდის. ძველმა ინდოეთმა ადგილი დაუთმო ახალს ინდოეთს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

როგორია საფუძვლებზე ეყრდნობა ინდოეთის ახალი ძალები და როგორია მათი ბრძოლის პროგრამები?

სიმონ ხუნდაძე

# ახალი ამბები

— **ხახარინი.** სტამბოლიდან ბათომში ჩამოტანილია დიდი პარტია ფრანგულ საქარინისა, კოლოფი იყიდება 8.000 მან. რაც არსებულ ფასზე გაცილებით იაფია.

— **ხაბჭოთა დაწესებულებების შემჭიდროება.** საბინაო კრიზისთან დაკავშირებით, საქართველოს რევკომმა დაადგინა. მიიღოს ზომები საბჭოთა დაწესებულებების შენობათა შესამჭიდროებლად. შ. ს. კომისარიატმა შეიმუშავა სათანადო ინსტრუქციები.

— **ჟურნალი „სოციალური უზრუნველყოფა".** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გამოსცეს ყოველ თვიური ჟურნალი ქართულ და რუსულ ენაზე: „სოციალური უზრუნველყოფა".

— **ხაბ. ხომხეთის მისიაში.** სომხეთის ს. ს. ს. რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ამხ. დ. შავერდოვი გაემგზავრა საზღვარგარეთ. მის მოადგილედ დანიშნულია ამხ. ა. თუმანიან-სურხათიანი, რომელმაც დაიწყო თავისი სამსახურ-თანამშრომლობის ასრულება.

— **შრომის დისციპლინა.** შ. ს. საბ. კომისარმა შეიმუშავა და წარუდგინა საქ. რევკომს განსახილველად დეკრეტის პროექტი დისციპლინარულ სასჯელის დადებისა ადგილობრივი რევკომების წევრთა და საბჭოთა მოსამსახურეთათვის. დეკრეტის პროექტი რევკომმა დაამტკიცა.

# საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

**საბჭოთა მოსამსახურეების კრება.** დღეს, ივლისის 22-ს საღამოს 7 საათზე, პარტიის მთავარ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) დანიშნულია საბჭოთა მოსამსახურე სოც.-ფედ. კრება. განსახილველია მეტად საყურადღებო საკითხი და ყველა ამხანაგების დასწრება მეტად საჭიროა.

**საორგანიზაციო სამეული.**

# რადიო

**ვრანგელი.**

**ბათომი.** კონსტანტინოპოლის გაზეთების ცნობით ვრანგელი თავისი შტაბიდან წავიდა საფრანგეთის გემით სერბიაში, იქიდან გაემგზავრება პარიზისაკენ. რუსული გემის „ალექსანდრე მიხაილოვიჩის" შემადგენლობამ უარი უთხრა ვრანგელს გადაყვანაზე იმ მიზეზით, რომ მათ არ მიუღიათ ხუთი თვის ხელდარი ჯამაგირი.

**ვაშინგტონის კონფერენცია.**

**ლონდონი.** პარიზში შესდგა კომისია ამერიკის, ინგლისის, იტალიის, იაპონიისა და საფრანგეთის წარმომადგენელთაგან წინასწარი მუშაობისათვის განიარაღების შესახებ ვაშინგტონის კონფერენციაზე. ეს კომისია განიხილავს თავმჯდომარის საკითხსაც.

**ლონდონი.** ოფიციალურ წრეებში ადასტურებენ, რომ იაპონია მოითხოვს განიარაღების საკითხი განხილულ იქმნეს შორეულ აღმოსავლეთის საკითხთან ერთად.

**ხერბიის კომუნისტების მოთხოვნილება**

**მოსკოვი.** ბელგრადიდან იუწყებიან, რომ საპარლამენტო კომუნისტურმა ფრაქციამ, რიცხვით 57 დეპუტატმა, მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყვეტა რეპრესიებისა კომუნისტების მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში პარლამენტის დატოვებით იმუქრებიან, ამით კი შეწყდება საკანონდებლო მუშაობა. ხორვატიის გლეხთა პარტიამ მხარი დაუჭირა კომუნისტების მოთხოვნილებას. კომუნისტების მოლაპარაკებას მუსლიმან დეპუტატებთან.

**ზემო სილეზიაში**

**ლონდონი.** საფრანგეთის წარმომადგენელმა ბერლინში ლორანმა განაცხადა, რადგან გერმანელები ემზადებიან ზემო სილეზიაში შესატევად და აგრეთვე არის მრავალი ფაქტები ფრანგებზე თავდასხმისა ამიტომაც საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა ზემო სილეზიაში გაგზავნოს სამხედრო ნაწილები ერთი დივიზიამდე. საფრანგეთის წარმომადგენელმა წინადადება მისცა გერმანიის მთავრობას მიიღოს შესაძლებელი ღონისძიება განიარაღებისა და ზემო სილეზიის საზღვრებიდან ყველა გერმანული სამხედრო ხასიათის ორგანიზაციების გაყვანის შესახებ, რათა სახავო პირობების განხორციელებას არავითარი დაბრკოლება არ შეხვდეს გერმანელების მხრივ.

# შევარდენთა გაფრენები

3

ორშაბათს დილით ადრე უნდა გამოვსულიყავით კიკეთიდან, რათა მზეს არ შევეწუხებინეთ და მასთანვე ადრევე ვყოფილიყავით ტფილისში, სადაც ზოგს საქმე ელოდებოდა, ზოგს სამსახური.

ვინაიდან სურსათის მხრივ ჩვენი ჩანთები საშინელ კრიზისს განიცდიდენ, ამისათვის ესეც რასაკვირველია იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ გადაწყვეტილი გვქონდა გათენებისასვე წამოსვლა. მაგრამ ჩვენი შემუშავებული გეგმა შეიცვალა, რასაც ხელი შეუწყო ღრუბლიან დილამ და ამასთანავე იმ გარემოების შეცვლამ, რომ ჩვენი სასურსათო კრიზისი შენელდა ქ-ნ ცინცაძის სკოლის წარმომადგენლის წინადადებით შევარდენებისათვის დაემზადებინათ ჩაი, ქაში, რძე და პური.

ამ გარემოებამ თავის თავად შესცვალა რასაკვირველია ჩვენი მდგომარეობა და ოთხი საათის მაგიერ გამოვედით კიკეთიდან 9 საათზე. საუზმის დროს მასპინძლობას გვიწევდა ქ-ნ ხ. ზერეკიანის ასული, რომელსაც წამოსვლისას შევარდენებმა მწყობრში ჩამდგარმა „სამადლობელო" უმღერეს.

მწყობრით გამოვედით კიკეთიდან. სიმღერა და ლაღი ჩვენს წინსვლას ერთგვარ სიმარდეს აძლევდა. გვემშვიდობებოდენ კიკეთელები.

ჩვენს შიკრიკს—ველოსიპედზე მიეცა ტფილისისაკენ სვლის გეზი სოფელ დიდებით კოჯორზე. ავიღეთ გეზი კიკეთიდან მარჯვენით ქორ-ოღლის ციხის მიმართულებით. გასავლელი გვაქვს სოფელი დიდება, რომლის მცხოვრებლები ბავშვი თუ ქალი შევარდენების დანახვაზე გარეთ გამოფენენ. დიდებელები ხომ ჩვენი კარგი ნაცნობებია. წინადღით ერთად ვმხიარულობდით კიკეთში. სოფლის ბოლომდის გამოგვყვნენ დიდებელები. „ვარადალო, გაუმარჯოს ამ სოფელსა"—მღერიან შევარდენელები დიდებაში გავლის დროს.

თანდათან უახლოვდებოდით როგორც კოჯორს, აგრეთვე მის მარჯვნივ მდებარე ქორ-ოღლის ციხეს. მედიდურად ამაყათ გამოიყურება ქორ-ოღლი. ის იცნობს შევარდენებს, რომლებმაც შარშან ზაფხულში იერიში მიიტანეს მასზე და ხელდათ მთელი შევარდენი ასულნი ციხეზე, ქორ-ოღლზე გარს შემორტყმული ლამაზათ მოსჩანდა. ლამაზი სურათი იყო თურმე როდესაც შევარდნელები მოფენილი ქოროღლის ირგვლივ დიდის სისწრაფით ადიოდენ ციხეზე, სადაც ციხის ერთ მაღალ კედელზე აფრიალეს ქართული დროშა, რომელიც დიდხანს მოსჩანდა ციხეზე. მრავალი დურბინდი შესცქეროდა შევარდენთ ლამაზ იერიშს, ქოროღლის ციხეზე მიტანილს.

და აი ეხლაც შევარდენთ გუნდი კიკეთიდან მომავალი მიდიოდა კოჯორისაკენ და მათ დასცქეროდა ქოროღლის ციხე. ლამაზი სურათია, მის ლურჯ კამარაზე დახატულათ მოსჩანს ქოროღლი, ეს ჩვენი ძველი ისტორიის მოწამე, ეს ქართულ კულტურის მაჩვენებელი წარსულში.

სცემს ლოდი და მას ზანს აძლევენ ახლად შექმნილი მეზურნეები. გიგამ და კოლამ, რომლებმაც სავარცხლებიდან მოაგვარეს დუდუკი, ისე გაგვიტაცა ყველანი სიარულში ჩვენი შიკრიკითურთ, რომ შელიკს ავედით და მივადექით ტყეს, რომელიც გადადიოდა ხევში; ხევის ზემოთ კი კოჯორია, მაგრამ გასვლა ყოვლად შეუძლებელია. ამ გზის აცდენის გამო იძულებულნი ვიყავით შეგვეცვალა სვლის გეზი და წამოვსულიყავით მარცხნით ისევ მანგლისის გზა ტაბაცალზე. ოღრო ჩოღრო გზით ამოვედით გზა ტაბაცალზე და გავეშურეთ უძოს წყაროსაკენ. მშვენიერი ადგილია ეს უძოსთან ახლო მდებარე წყარო. ადრე აქ ყოფილა დუქნები, სადაც ისვენებდენ და ლხენს ეძლეოდენ გამვლელ-გამომვლელები. ამას მოწმობს ის შენობები, რომლებიც ტყის პირას გორის ფერდოზე ამართულია წყაროს ზევით. ქვევით კიდევ ტყე. ლამაზია ბუნება უძოს წყაროსთან. აქ კარგა ხანს ვისვენეთ, ვინაიდან დასარიგებელია ორი თეთრი პური, რომელიც კიკეთიდან გამოგვყვა. დიდ ამბავშია მოურავი. მწკრივში დგება ყველანი, რათა რიგ-რიგობით მიიღონ პური. პურის შემდეგ ცეკვა-თამაში, შარადებს შედგენა-გამოცნობა და სხ. სათანადოვარი ვისვენებდით, [illegible] რის შემდეგაც გავიწიეთ. ჩამოვიარეთ ისევ უძოს ძირში, [illegible] ში ხ-ს ქვეშ [illegible] და ხეზე კი მრავალი [illegible]. ამ ჭინჭებს თურმე ხალხი ჰკიდებს ხეზე, იგულისხმება ქალები, უშვილო ქალები რომელნიც მოდიან უძოს ეკლესიასთან და შესთხოვენ ღმერთს ძეს. აქედან წარმოსდგა უძოს სახელიც, უძეო—უძო. თვით მოხუცი, რომელიც უძოს პაწია ეკლესიას ყარაულობს და რომელიც ჩვენ ვნახეთ უძოს წყაროსთან, სასოწარკვეთილებით გადმოგვცემდა: „თათრებსაც კი მოეჭონდათ უძოში შესაწირავი, ისე სწამდათ უძოს სიძლიერე; ახლა კი წელს ეს პაწია ეკლესია გაცარცვეს ქურდ ბაცაცებმა და შიგ რაც იყო შემოწირული ისიც წაიღესო".

უძოს მწვერვალი, რომელზედაც გაშენებულია უძოს ეკლესია, მდებარეობს ეგრედ წოდებულ სანიშნებელ მთის გვერდით, ერთი ვერსის სიმაღლეზე ვერის ხიდის ზემოთ—4700 ფუტი.

გაფრენის უფროსს ძმა გიორგის თან ჰქონდა მთების სიმაღლის საზომი—ანეროიდი, რომელიც გვაჩვენებდა ამა თუ იმ სიმაღლის რაოდენობას საერთოთ ასეთ გაფრენების დროს ასეთი ხელსაწყობები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოფრენილ—ექსკურსანტებისათვის, რომელნიც ვალდებულნი არიან გაფრენებს მიუდგენ აგრეთვე მეცნიერულის თვალსაზრისით. ანეროიდი ისეთივე საჭიროა ხელსაწყო, როგორც მაგალითად საჭიროა ასეთ შემთხვევებში კომპასი, დურბინდი, ფოტოგრაფიული აპარატი და სხ.

დავეშვით უძოდან. კოჯორის ქედი დაგვრჩა უკან და მარჯვნივ, მხოლოდ წინ მარჯვნივ, გამოჩნდა სოფლები წავკისი, ტაბახმელა და შორს იმავე მიმართულებით მთაზე შავნაბადის მონასტერი. ტაბახმელა თავის მიდამოებით ერთგვარ ჟრიალს იწვევს ტანში ამ რამოდენიმე თვის წარსულ მოგონებებით, როდესაც მამაცი ქართველი ჯარი სალი კლდესავით იცავდა თავის მშრომელ ხალხის სამშობლოს უცხოეთიდან შემოსეულ ძალებისაგან. ტაბახმელა და მისი მეზობელი კოჯორი ისეთივე ისტორიულ ადგილებათ შეიქმნა საქართველოს მშრომელთათვის, როგორიც არის მეთვე ახლომახლოთ მდებარე კრწანისის ველი. ტაბახმელა, კოჯორი, კრწანისის ველი. ეს წმინდა ადგილებია ქართველ ხალხისათვის, სადაც ქართველთ საუკეთესო შვილებმა წმიდა სისხლი დაღვარეს თავის სამშობლოს დასაცავათ, თავის მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. და აი სწორედ ამისათვის მათი ხილვა ნაზ და მწარე მოგონებათა ჟრიალს იწვევს ყოველივე ქართველში, ვისაც უყვარს პაწია ლამაზი საქართველო და მისი ტანჯული მშრომელი ხალხი.

ქედიდან თქვენს თვალწინ წარმტაცი სურათები იშლება, აქედან მოსჩანს მარცხნით კუს ტბა და ლისის ტბა, ვერის რუს ხევი, ბეთანია და წყნეთი ნახშირგორა და საკენჭეო, საგურამოს მთა და ზედაზენის მონასტერი, შორით კი ტატნობზე თვით კავკასიონის ქედი, კარგათ გაირჩევა მყინვარი და სხვა მნიშვნელოვანი მთის მწვერვალები. კავკასიონის ქედი ხომ საქართველოს კედელია, რომელიც ფარავს ქართველთ ქვეყანას ჩრდილოეთის სუსხიდან. ამ კედლის აქეთ ხომ სხვაა ბუნება, სხვაა ზნე-ჩვეულება, სხვაა ხალხი. და ჩვენც სიყვარულით შევცქერით ამ ბუმბერაზ მთის მწვერვალებს, რომელთა კალთებს თეთრი ნაბადი ზაფხულობითაც კი არ შორდება.

ასეთი სანახაობა თავის თავად გვიმოკლებს გზას; ჩვენ ვერ ვამჩნევთ როგორ უახლოვდებით ტფილისს. სვლის გეზი ავიღეთ მარჯვნით გზა-ტაბაცალზე. აქ უკვე სიცხის გამო შევარდნებს—ვაქებს ეძლევათ ნება გაიხადონ მაქრონკები პერანგებიანურთ. მზის სხივები ლამაზებს, ბაქებს შევარდენთა გულმკერდებს. ბრინჯაოსავით გამოიყურებს შევარდენთ რკინისებური კიდურები თავის მძლავრი ფუნთებით.

გზა-გზა გვხვდებიან მოხუცი სოფლელები.

„სად მიზვალთ შვილო, საიდან მოდიხართ“?

„არ გეშინიანთ ავერ გახდეთ, ხომ გაგიფუჭავთ მზემ ტანი?—ასეთია შეკითხვები.

„აგერ ჩინეთში და იაპონიაში დადიან“,—ამბობს ერთი მეცხვარეთაგანი,—იქ მინახავს იაპონიის ომის დროს ეგრე მოსიარულენი“.

ჩვენც უხნით რასაკვირველია გაკვირვებულ მოქალაქეებს მზის სხივების მნიშვნელობას ადამიანის სხეულზე, უხსნით საერთოდ ტანვარჯიშობის მნიშვნელობას კაცობრიობისთვის და კერძოდ ქართველ მშრომელ ხალხისთვის და ასეთი ახსნა-დარიგება ერთგვარად აკმაყოფილებს ჩვენს მობაასეებს.

სოლოლაკით მოვახლოვდით ტფილისს. ნასადილევის მეხუთე საათი იყო, როდესაც სოლოლაკელების მყუდროება დაარღვია შევარდენთა სიმღერამ. იღება ფანჯრები, ხალხი აივნებზე გამოდის, ქუჩები ბავშვებით ივსება.

აქ იქ შეკვეთილ სამსახურიდან კიდევ მოდიან მოქალაქენი. აგერ ერთი მოქალაქე პორტფელით ხელში, რომელიც შეიძლება ჩვენ გასაგონადაც არა, მაგრამ მისი სიტყვები ნათლად გავესმის; ის ეუბნება თავის თანამგზავრს: „კაცო, შესმის ეს ბავშვები, მაგრამ ეს მოზრდილები რამ გადარია, უსაქმო ხალხია როგორც სჩანს“. შევარდნებში შეიქნა სიცილი ამ მოქალაქის სიტყვებზე, რომლის გონებაც ჯერ კიდევ ისე არ განვითარებულა, რომ გაიგოს ტანვარჯიშობის დიადი მნიშვნელობა, შევარდნობის დანიშნულება ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა დაგვჭირდება, სანამ ხალხში საფსებით შეიჭრება შევარდნული აზრი, შევარდნული იდეა.

„ჩასაწერია სოსო, ჩასაწერი“—მწყობრში ოხუნჯობენ შევარდნები. მეც ვეთანხმები ძმათა კრებულს.

5 საათი იყო, როდესაც შევარდნები მივდიოდით ნასიამოვნები სახლებისაკენ.

ხ. ახლაპიშვილი.

# წერილი დასავლეთ საქართველოდან

### 1. დიდი სამამრთების ყანაში.

წელს მთელ დასავლეთს საქართველოში სამშილი გვალვაა. ბრის ყამო ყანები დაუთესავი დარჩა და რის დათესვაც მოასწრეს, ისიც არაფერ სახუგეშოს წარმოადგენს: სიცხისაგან გამომხმარ ნიადაგში თესლი ან ამოდ დაიკარგა, ან თუ ამოვიდა სიმინდი, ძალზე ჩასწვა და ჩახრუკა მზემ. ხალხი შიშმა და სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, ვინაიდან ის აუცილებელი შიმშილობის წინაშე სდგას.—სიმინდი, როგორც მოგეხსენებათ, ერთად ერთი საჩინო მთელი დასავლეთ საქართველოსთვის და რის იმედი უნდა ჰქონდეს ხალხს, როდესაც სიმინდის ყანები ასეთ საშინელ მდგომარეობაშია! წითელ პარასკევს აქეთ საგრძნობი წვიმა არ ყოფილა, რომ ხალხს საშუალება ჰქონოდა მიწის დამუშავების, გამომხმარი ნიადაგი საზარელ სანახაობას წარმოადგენს, ალაგ-ალაგ მიწა გახეთქილია სიცხისაგან და ზედ პირუტყვს სიარულიც სახიფათოა, ვინაიდან შესაძლებელია ფეხი ჩაუვარდეს გახეთქილ მიწაში. ღვთის წინაშე ჩვენც კი ვართ დამნაშავე. ჩვენში ჯერ კიდევ არ არის შემოსული კულტურული მეურნეობის ნასახიც კი, მიუხედავად იმისა, რომ თავი დიდ კულტურულ და განათლებულ ხალხად მოგვაქვს ვიტყვით მეტსაც: მეურნეობის მხრით ქართლი ჩვენზე გაცილებით წინა სდგას, ვინაიდან იქ ყანების მორწყვა მაინც იციან და ზეცისაგან არ არის დამოკიდებული მათი საარჩო საბადებლის ბედიღბალი. ჩვენ კი, იმდენად დავნინებული და უვიცნი ვართ, რომ არა თუ ყანების, ბახჩების მორწყვაც ვერ მოგვიხერხებია, რომ ოჯახისათვის საჭირო პრასა და ნიახური მოვიყვანოთ. ეს იმ დროს, როდესაც მთელი დასავლეთი საქართველო წყლებით მეტად მდიდარია და ცოტა გარჯითა და მეცადინეობით სულ ადვილად შეგვიძლია ჩვენი საყანეების უზრუნველობა მოვრწყოთ. ამის ძაგალითი უკვე არის. რამდენიმე შეგნებულმა მეურნემ წელს პირველად სცადეს მდინარის გამოყენება ყანის მოსარწყავად, გაიყვანეს არხები და მდინარის ნაკადული უხვად მიუშვეს გადახრუკულ ნიადაგზე. ხალხი პირ-დაღებული და განცვიფრებული შესცქეროდა „ადამიანის ღმერთთან ბრძოლას“ და ზოგი სასაცილოთაც იგდებდა მათ ასეთ თავხედობას, მარა ცდამ მშვენიერი ნაყოფი მოიტანა და ვინც დასთესა მორწყული მიწა, დღეს მშვენიერი სიმინდია შიგ და მათ პატრონს სიმშილის ფიქრი აღარა აქვს. ამ მაგალითმა ბევრი დაარწმუნა მორწყვის სარგებლიანობაში და ხელმძღვანელი ორგანოები რომ საჭირო თაოსნობას გამოიჩენდნენ ამ მხრივ, ადვილი შესაძლოა ხალხი აიყოლიონ და მთელი საყანე ადგილები არხებით დასერონ და ამნაირად მომავალში თავიდან აიცილონ ხალხს გოლვის საშინელი შედეგები. ვიმეორებ, დღეს ამ მხრივ მუშაობა შესაძლოა და დიდი დანაშაული იქნება ასეთი დრო ხელიდან გავუშვათ.

### 2. გზის მუშაობა.

ყველა იცის რა ცუდი გზებია ჩვენში. იშვიათი სოფელია, რომელსაც ცოტად თუ ბევრად ხეირიანი სასოფლო გზები მოეპოვებოდეს. ჩვენებურ გზებზე ურმების მოძრაობა არა თუ ზამთარში, ზაფხულშიაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამას ყველა გრძნობს, ყველა ხედავს უგზოობით გამოწვეულ უხერხულობას, მაგრამ გზების კეთებისთვის თავს მაინც არავის იწუხებს. ხანდახან თითქოს აჩოჩქოლდებიან, გაიწვევენ ხალხს გზის სამუშაოდ, აქა-იქ ოღრო-ჩოღრო გზებს ჩაასწორებენ, ალაგ-ალაგ ხრეშსა და ქვიშას მიაყრიან, მარა ყველაფერი ეს ხდება უგეგმოდ, უგულოდ, ვილაცასთვის მოსაჩვენებლად და საკმაოა მეორე დღეს ძლიერი წვიმა მოვიდეს, რომ მთელი ნამუშევარი უქმად გაივლის და ნიაღვარი ანადგურებს წინადღით ნაკეთებ გზას. ასე იყო წინეთ, ასე არის ახლაც...

ახალმა ხელისუფლებამ გადასწყვიტა ყოველ კვირა-უქმე დღეებში ხალხი ოთხ-ოთხი საათი ამუშაონ გზებზე. დაიწყეს მუშაობაც, მარა ეს მუშაობაც დღესაც ისეთივე წესით და გეგმით, ანუ უკეთ, უგეგმოთ მიმდინარეობს როგორც წინათ. ამიტომ ამ მუშაობის შედეგიც ისეთივე იქნება, ცხადია, როგორიც წინათ იყო. დარში გაკეთებულ გზას, ავდარი უმალვე გააფუჭებს და ხალხის შრომა უქმად ჩაივლის. რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ყოველგვარი მუშაობა გზისა გამოცდილი ტეხნიკის ან გზის ოსტატის ხელმძღვანელობით ხდებოდეს, სამუშაო წინდაწინ დაიგეგმოს და დღეს მაინც ხეირიანი გზები გაკეთდეს. აღსანიშნავია იარაღის უქონლობაც. სოფელს არ მოეპოვება საჭირო იარაღი და აუცილებელია ამ მხრივ მთავრობის დახმარება. უამისოდ ხალხის გარჯა მეცადინეობა სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანს.

მ. ტ—ძე.

# მოწერილი ამბები

**თეატრი ხოფლად.** მარანი (სენ. მახარა) სიმპატიური მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს ზოგიერთ მივიწყებულ კუთხეებშიაც კი განსაკუთრებული გამოფხიზლება დაეტყოთ თეატრალურ ხელოვნებას, სოფლის ინტელიგენციისათვის კულტურულ ცენტრებიდან არც თუ ისე დაახლოვებულ ადგილებში ზაფხულის სეზონში განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი გახდა ხელოვნების ეს დარგი. აღსანიშნავია ეს მოვლენა მით, რომ ჩვენს ოჯახებში ჯერ კიდევ ფეხ ამდგარ ვიწრო ტრადიციულ შეხედულებათა გადახალისებისაკენ სწრაფვა და ინერტიულ მდგომარეობაში მყოფ ძალების სამოქმედო ასპარეზზე გამოყვანა—ერის კულტურულ რენესანსის გაღრმავების შესაძლებლათ გახდის, რაიც ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალურ ძალებს საკმაოდ შეავსებს... თუმცა ამ მოვლენას ზოგიერთ შემთხვევაში ანგარება აუფერულებს, მაგრამ ამ თვისების იშვიათობა (მით უმეტეს პროვინციულ ინტელიგენტისათვის) კვლავ იმედით გვაყურებინებს მომავლისათვის; და ეს იმედი გვიკარნახებს—სიფრთხილით გადაუხედოთ ის მრავალგვარი დეფექტები, რაც უთუოდ თან ახლავს-ჩვენის აზრით პროვინციულ მოღვაწეობას... აქ მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო ერთ-ერთ გარემოებაზე—ზემოდასახელებულ თემის სასცენო მოღვაწეობიდან, რაც უმთავრესად პარტიული მდგომარეობის ზმანებით არის გამოწვეული.

მარნის თემი, კულტურულ ძალებით საკმაოდ მდიდარია, თუმცა ამ უკანასკნელის ნაწილი ჯერ კიდევ პოტენციალურ მდგომარეობას განიცდის. უკვე მეორე თვე არის, რაც მუშაობას შეუდგა „რაბისი-“ს ადგილკომი, რომლის მუშაობა უმთავრესად სასცენო მოღვაწეობაში გამოიხატა. ამ ხნის განმავლობაში ერთს არა სასურველ მოვლენას ჰქონდა ადგილი. საქმე ის არის, რომ ადგილკომის მიერ ერთ-ერთ გამართულ წარმოდგენას, მახლობელ დაბა-ბაშის ორმა სცენის მოყვარე სრულიად დაუმსახურებელ სკანდალით გაუმასპინძლდა (ალბათ იმით დაიმედებული, რომ კომუნისტები ბრძანდებიან). თავხედობა იქამდინაც კი მივიდა, რომ დამსწრეთ აუდიტორიას ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდნენ. მაგრამ ეს გაბრაზება იმან გამოიწვია, რომ მათ სცენაზე და კულისებში თავისუფალი თარეშის ნება არ მისცეს და მათი გაჯიუტებას უსაზღვრო დაედო.

თავისთავად ეს ბავშვური საქციელი ყურადღების ღირსიც არ იყო, რომ თავისივე უწესოიგობის დასაფარავად, ბ ნ. სკანდალისტები, დაპირებისამებრ (წარმოდგენის დადგმამდე) ვითომდა რეცენზია არ მოეთავსებინათ გაზ. „კომუნისტის“ 104 №-ში. „ლტოლვილისშვილი“-ს და კომპანიის ჯერ აურზაურის მოხდენა და შემდეგ რეცენზიების წერა, ხელოვნების წინაშე დამსახურებათ ვერ ჩაითვლება, არამედ სალი კრიტიკის შეურაცყოფათ... მაგრამ მე ამ შემთხვევაში, სრულებით არ მაინტერესებს რეცენზიის შინაარსი, არამედ მინდა გავიგო თუ რა აზრის არიან ხელოვნების დარგში თანამოძმეების ასეთი დამოკიდებულების შესახებ ის ამხანაგები დ. აბაშის დრამ. წრის, რომლებსაც უფრო მეტი მოეთხოვებათ? ნუ თუ თქვენ გგონიათ ეს არ აფერხებს ძალების თავის მოყრას, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დღეისთვის? თქვენ ვალია პასუხი მოსთხოვოთ იმ პირებს, რომელთაც არც საზოგადოების პატივისცემა აქვთ და არც საერთო საქმის, რაც სავსებით დაამტკიცეს 18 ივლისს მიუტევებელ საქციელით.

ბ. გაიანიძე

# წერილი რედაქციის მიმართ

ჩემი სახელის და გვარის მატარებელი ჩემთვის უცნობი ილია ფე იძე გაზეთ „კომუნისტი“ს მე-97 ნომერში აცხადებს, რომ იგი სოციალ დემოკრატიული მენშევიკური პარტიიდან გადავიდა ამ წელში მომხდარი გადატრიალების შემდეგ კომუნისტურ პარტიაში. სიმართლის აღსადგენად ამით ვაცხადებ, რომ მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი არასოდეს ვეკუთვნოდი სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკურ პარტიას და არც კომუნისტურ პარტიაში გადავსულვარ. მაშასადამე, კომუნისტურ პარტიაში გადასული ილია ფერეძე მე ვერ ვიქნები.

ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ილია ივანეს ძე ფერაძე.

რედაქტორი ოლღა დადიანი.
გამომცემი ცენ. მთავარი კომიტეტისა.


**დაიკარგა** კომუნისტური ბილეთი 550 ქ. განჯიდან მიღებული, ბაქოს ცეკის კანტროლის კომისიის პირადობის მოწმობა და პირადობის მოწმობა ჩარჯუი, და მოწმობა იარაღის ტარებისა ბენსიონ დავით ოღლის ახელობაზე მპოვნელს ვსთხოვ რედაქციაში მოიტანოს, ისე ითვლება გაუქმებულად. 1043

ექიმი
**ი. კ. აბაკელია**
შინაგანი ავადმყოფობა განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ-მკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქავისა ასაკისა და გულ.ს ავადმყოფობისა მიდება ყოველ დღე გარდა კვირისა. საღამოს 4 ნახ.—6 საათამდე. მამადავითის ქუჩა № 3 ბინა 5 (გოლოვინის პრ. კუთხე) 51

ქ. ლანჩხუთში.
ექიმი
**ოლღა ხოფერია**
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

კბილის ექიმი
**აპოლონ ურუშაძე**
განახლდა ავადმყოფების მიღება 9—1 და 4—7 ს.
პეზიუროვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

**სოფრ. გლახაშვილის**
**თხზულებანი I და II ტ.**
იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. იქავე ბუხჰალტერია სოფრ. ტარუაშვილისა.
ბუნების გლოვა ვაჟას გარდაცვალებაზე—სიმღერა არაყიშვილისა 1108

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის უწყების ქვეშ მყოფი
პირველი ქართული საბუხჰალტერიო კურსები
**ალ. გ. საათაშვილისა**
მიიღებიან ყველანი წლოვანობის განურჩევლად. პირობის გაგება შეიძლება დილის 9—12 საათ. და საღამოს 4—7 საათზე. მისამართი: დუშეთის ქუჩა, სახ. № 9 (1-ლი რაიონი) წყნეთის ქუჩასთან ახლოს, ტრამვაი № 5. 1103

**გამომცემლობა „სორაპანი“**
უმორჩილესად სთხოვს ყველა იმ პირებს, ვისაც კი რამე ანგარიში აქვს მასთან გაასწორონ ამ თვის დამლევამდის.
გამომცემლობას იმედი აქვს არავინ არ ისარგებლებს მისი დღევანდელი მძიმე მდგომარეობით და ვისაც რამდენი შეუძლია გადიხდის თავის ვალს, ეს იქნება გამომცემლობისათვის ერთნაირი დახმარება გაჭირვების ჟამს.
ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: ტფილისი. მადათოვის კუნძული, ყოფილი „სორაპანის“ სტამბის პირდაპირ, სეილანოვის შენობაში მიხეილ გაჩეჩილაძეს.
1040 გამომცემლობა „სორაპანი“.

**საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის გამგეობა**
აცხადებს, რომ არტელი წინანდებურად განაგრძობს თავის მოქმედებას თანახმად თავისი წესდებისა, რომელიც საბჭოთა მთავრობის მიერ ნება დართულია.
გამგეობა წევრების მიღებას განაგრძობს და აძლევს მათ ადგილებს რკინის გზაზე და სხვა დაწესებულებებში.
თხოვნები მიიღება საღამოს 6 საათიდან გამგეობის ბინაზე ბორჯომის ქ. № 6

მხატვარი **კოტე ქავთარაძე**
იღებს
**სამხატვრო სამუშაოს**
საკუთარ სამხატვრო სახელოსნოში
პეტრე ელიდის ქუჩა № 3.
დილის 9—11 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. 50

ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და ამჟამად მათემატიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მაჩაიძე
ადგენს მისამზად.
**ჯგუფებს**
ოთხი და ექვსი კლასის მოწმობის მისაღებად. აგრეთვე საშუალო სასწავლებელში: გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად მე-2,3, 4, 5, 6, 7 კლასში. მასწავლებლობის და ტელეფონის მოწაფის წოდებაზე.
აგრეთვე იძლევა ცალკე გაკვეთილებს: მათემატიკაში გერმანულში და რუსულ ენებში—განმეორებითი გამოცდებზე მოსამზადებლად.
მეცადინეობა: დილით—5—7 საათამდე. საღამოთი 2—4 და 5—7 საათ.
მისამართი: პლეხანოვის ქუჩის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5.
ნახვა და ჩაწერა—6—7 ნახ. დილით 3—7 საღამოთი. 1081

**განცხადება**
**სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო**
იწვევს გამოცდილ პირთ სტატისტიკოს-ინსპექტორის თანამდებობაზე. ცნობების მიღება შეიძლება ც. ს. ს. საინსტრ. სამეფ. გ—მაში (ბროსეს ქ. № 4). 53

**„ფქვილი და შაქარი“**
ჩამოვედი კონსტანტინეპოლიდან ვღებულობ (ზაკაზებს) დანაკვეთას შაქრისას და ფქვილისას და აგრეთვე სხვა და სხვა საჭირო სანოვაგისას, თეთრი კანადის ფქვილის ჩავაბარებ ბათომში ფუთს 2 ლირად გადაფქვილს ფუთს 1 ლირა 60 პიასტრად. აგრეთვე ვაცნობებ ქართველ მრეწველთ და ვაჭართ, რომ კონსტანტინეპოლიდან გამოტანა ყოველი სანოვაგისა ნება დართულია და არავითარი დაბრკოლება მათ არ ელობებათ: ხმები ვითომც ინგლისური და სხვა. აბრკოლებდნენ საქონლის გამოტანას, სიმართლეს არ შეესაბამება. ამას ავრცელებენ ზოგიერთი ვაჭრები, რომ მათ კონკურენტი არ ეყოლოთ.
1042 დავით ქებაძე.